



საქართველოს ეროვნული ბანკის
პრეზიდენტის მოვალეობის შემსრულებელს
ქალბატონ ნათელა თურნავას

წინადადება

პენსიონერთა სესხების „საშელავათო პერიოდით“ სარგებლობისას გაზრდილი ვალდებულებების, ასევე პენსიონერთათვის ოვერდრაფტის პროცენტის გადაანგარიშების შესახებ

შემუშავებულია საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის მიერ განხორციელებული შემოწმების შედეგების მიხედვით და გეგმავს „საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 21-ე მუხლის „ბ“ ქვეპუნქტის შესაბამისად

სახალხო დამცველისათვის ცნობილი გახდა¹ ისეთი შემთხვევების თაობაზე, როდესაც კორონავირუსის გავრცელების გამო შექმნილი საგანგებო მდგომარეობისას სს „ლიბერთი ბანკის“ მიერ მთავრობის რეკომენდაციით² პენსიონერების სესხების რამდენიმე თვით გადავადების შედეგად, ისინი დაზარალდნენ. საკითხის შესწავლის შედეგად გამოვლინდა სისტემური პრობლემა, რომლითაც ირღვევა ხანდაზმულ პენსიონერთა უფლებები.

ფაქტობრივი გარემოებები

კომერციული ბანკების მიერ პანდემიის დროს შეთავაზებული საშელავათო პერიოდით ბევრმა პენსიონერმა ისარგებლა, თუმცა, სს „ლიბერთი ბანკის“ მიერ სესხებზე დაწესებული საშელავათო პერიოდი ბევრი პენსიონერისათვის რეალურად არ აღმოჩნდა შელავათი. კერძოდ, ხანდაზმულ პირებს საშელავათო პერიოდით სარგებლობის გამო სესხის³ ვადა გაუხანგრძლივდა, რამაც დარიცხული პროცენტის ზრდა გამოიწვია. საშელავათო პერიოდის გასვლის შემდეგ, ბანკის მიერ შედგენილი ახალი გრაფიკით გათვალისწინებული თანხა იყო მნიშვნელოვნად გაზრდილი, ვიდრე საშელავათო პერიოდის თანხა იყო, შესაბამისად ხანდაზმულებს სესხი გაუძვირდათ და გაიზარდათ

¹ საქართველოს პარლამენტის წევრის, ქეთევან თურაზაშვილის მომართვის საფუძველზე, ასევე, განცხადება N15115/23 თ. ჭალიძე

² COVID-19-ის წინააღმდეგ საქართველოს მთავრობის მიერ გატარებული ღონისძიებების ანგარიში. ხელმისაწვდომია: https://www.gov.ge/files/76338_76338_444796_COVID-19angarishi...pdf გვ.55.

³ „ლიბერთი ბანკის“ ხელშეკრულება N28712453/20968282, 12.08.2019, N27471516/19475564, 18.03.2019

სესხის ხელშეკრულების ხანგრძლივობა. შედეგად, მათ იმაზე მეტი თანხის გადახდა უწევთ, ვიდრე პანდემიამდე იხდიდნენ.

ბანკმა მომხმარებლებს შესთავაზა „საკრედიტო პროდუქტების გადავადების პირობები“ რომელზეც 5 დღიან ვადაში რეაგირების არარსებობის შედეგად, ამოქმედდა ბანკის მიერ წინასწარ შემუშავებული საკრედიტო პროდუქტების გადავადების პირობები, რომლის მიხედვითაც სესხის გადახდის გრაფიკში შესაბამისი ცვლილებები განხორციელდა.

ცვლილებების შედეგად, „ლიბერთი ბანკის“ მომხმარებლებს ყოველთვიურად იმაზე მეტი თანხის გადახდა უწევთ, ვიდრე პანდემიამდე იხდიდნენ. დომინირებულმა კონტრაქტმა - სს „ლიბერთი ბანკმა“, პენსიონერებს დაუდგინა შეცვლილი პირობები, ისე რომ ახალი პირობების შესახებ დეტალები მომხმარებელთათვის ცნობილი არ იყო და მათ მოუწიათ შეცვლილ გარემოებებთან დათანხმება.

საქართველოს ეროვნული ბანკის წერილის თანახმად⁴, თუ კომერციული ბანკების, მიკროსაფინანსო ორგანიზაციებისა და სესხის გამცემი სუბიექტების მიერ ახალი კორონავირუსით („COVID-19“) გამოწვეული პანდემიის გამო ე.წ. „სამედავათო პერიოდის“ გააქტიურებით მოსარგებლე მომხმარებელს უფლება აქვს მოითხოვოს გადავადებამდე არსებულ პირობებზე, მათ შორის, გადახდის ძველ გრაფიკზე დაბრუნება, რისთვისაც უნდა დაფაროს გადავადებული თვეების შესაბამისი შენატანები. აღნიშნული უფლებით სარგებლობისთვის მომხმარებელმა უნდა მიმართოს შესაბამის, მომსახურე კომერციულ ბანკს, მიკროსაფინანსო ორგანიზაციასა და სესხის გამცემ სუბიექტს.

პრობლემის სისტემურობა სწორედ იმაში მდგომარეობს, რომ მიმართვის შემთხვევაშიც არ ხდება ძველ გრაფიკზე დაბრუნება და როგორც ზემოთ აღინიშნა, სესხის თანხა და ვადა შეუსაბამოდ იზრდება. გარდა ამისა, სამწუხაროდ, ის ინფორმაცია, რომ პენსიონერებს შეუძლიათ მიმართონ სესხის გამცემ სუბიექტს და უფლება აქვს მოითხოვოს ვალდებულების რეფინანსება/რესტრუქტურისაცია, არ არის ცნობილი ბენეფიციარების დიდი ნაწილისთვის და ისინი იძულებულნი არიან გადაიხადონ შეუსაბამოდ გაზრდილი თანხა. მნიშვნელოვანია აღინიშნოს პენსიონერთა და ხანდაზმულ პირთა მოწყვლადობა, მათი სოციალური სტატუსი. მათ ინფორმაციაზე შესაძლოა არ მიუწვდებოდეთ ხელი თანაბრად, რის გამოც ვერ ახერხებენ „ლიბერთი ბანკთან“ მიმართვას. ძველ გრაფიკზე დაბრუნების მოთხოვნა და ვალდებულებების რეფინანსირების მოთხოვნა, საჭიროებს შესაბამის ცოდნას და ხშირად, პენსიონერები ამ საკითხებში გარკვეულნი არ არიან. იმ შემთხვევაში როდესაც პენსიონერმა შესაბამისი პირის/ორგანიზაციის დახმარებით, ინდივიდუალურად მიმართა ბანკს და მოითხოვა სესხის გადახდის ახალი გრაფიკის შედგენა, მნიშვნელოვნად შეუმცირდა სესხის ვადა და თანხა.⁵ აქედან გამომდინარე, აშკარაა, რომ „ლიბერთი ბანკს“ შეუძლია პენსიონერზე მორგებული პირობების და გრაფიკის შეთავაზება.

⁴ საქართველოს ეროვნული ბანკის წერილი N 2-18/3134, 15/09/2023წ.

⁵ მაგალითად, ადამიანის უფლებათა ცენტრის მიერ შესწავლილი შემთხვევა. ინფორმაცია ხელმისაწვდომია: <http://www.humanrights.ge/index.php?a=main&pid=20235&lang=geo>

გარდა ზემოაღნიშნულისა, მნიშვნელოვან გამოწვევას წარმოადგენს სს „ლიბერთი ბანკის მიერ“ პენსიონერებისათვის შეთავაზებული ოვერდრაფტის სესხები.⁶ როგორც მოგეხსენებათ, 2023 წლიდან სესხების წლიური საპროცენტო განაკვეთი განისაზღვრება მაქსიმუმ საკრედიტო პროდუქტის გაცემის მომენტში 6 (ექვსი) თვიანი ბანკთაშორისი საპროცენტო განაკვეთის ინდექსისა (TIBR6M) და 15 (თხუთმეტი) პროცენტული პუნქტის ჯამური ოდენობით და არ იცვლება საკრედიტო პროდუქტის მომსახურების ვადის ბოლომდე, რაც დაახლოებით შეადგენს 25-26%-ს. თუმცა, 2023 წლამდე აღნიშნული პროცენტი პენსიონერებისათვის იყო შეუსაბამოდ მაღალი. შესაბამისად, ახალი რეგულაციის ამოქმედებამდე აღებული სესხები გადაანგარიშებდება ახალი პირობებით და ახალი დაბალი პროცენტით, მხოლოდ პენსიონერების მიმართვის საფუძველზე. ამ შემთხვევაშიც იკვეთება ინფორმირებულობის პრობლემა. მრავალ ხანდაზმულ პირს არ აქვთ ინფორმაცია იმის თაობაზე, რომ არსებული სესხის პროცენტი შესაძლოა შეუმცირდეს და ამისათვის საჭიროა ბანკისთვის მიმართვა, რის გამოც სესხს იხდიან ისევ ძველი, მაღალი პროცენტით.

საქართველოს სახალხო დამცველის შეფასებით, საშეღავათო პერიოდით მოსარგებლე ბენეფიციარებისათვის შეუსაბამოდ გაზრდილი თანხების და სესხის ვადების შესახებ მიღებული გადაწყვეტილებებით, ასევე ოვერდრაფტის სესხზე დადგენილი მაღალი პროცენტების გადახდით, ირღვევა ხანდაზმულ პირთა უფლებები.

სამართლებრივი დასაბუთება

საქართველოს კონსტიტუცია აღიარებს სოციალური სახელმწიფოს პრინციპს და მის პრეამბულაში ხაზს უსვამს საქართველოს მოქალაქეების სწრაფვას, დაამკვიდრონ სოციალური და სამართლებრივი სახელმწიფო. სოციალური სახელმწიფო თავის მხრივ არის სახელმწიფო მმართველობის ფორმა, რომელშიც სახელმწიფო ზრუნავს მოქალაქეების ეკონომიკურ და სოციალურ კეთილდღეობაზე.⁷ სოციალური სახელმწიფოს ერთ-ერთი გამოვლინებაა ზრუნვა ადამიანის სოციალურ დაცვაზე.⁸

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებით, სოციალური სახელმწიფოს მიზანი სამართლიანი სოციალური წესრიგის დამკვიდრება, საერთო ეკონომიკური წონასწორობის შენარჩუნება, მოსახლეობის, შეძლებისდაგვარად, თანაბარზომიერი უზრუნველყოფა, ქვეყნის მასშტაბით ცხოვრების მაქსიმალური პირობების შექმნაა. ხსენებული მიზნები, ობიექტური გარემოებების გამო, შესაძლებელია სრულად ვერ განხორციელდეს, თუმცა მათი მიღწევა სახელმწიფოს მუდმივი ამოცანა და ზრუნვის საგანი უნდა იყოს.⁹

⁶ N14723/23 და N14453/23 განცხადებები.

⁷ ცხადდაქ თ., კონსტიტუცია და სოციალური სამართლიანობა: სოციალური სახელმწიფოს დეკლარირებული პრინციპის შინაარსის ძიებაში, „საქართველოს კონსტიტუცია 20 წლის შემდეგ“, 195

⁸ საქართველოს კონსტიტუციის მე-5 მუხლის მე-4 პუნქტი

⁹ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2008 წლის 31 მარტის № 2/1-392 გადაწყვეტილება საქმეზე საქართველოს მოქალაქე შოთა ბერიძე და სხვები პარლამენტის წინააღმდეგ. II, პ. 20.

საქართველოს კონსტიტუციის მე-19 მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, საკუთრების უფლება აღიარებულია და უზრუნველყოფილია.

დაბერების პრობლემების მადრიდის საერთაშორისო სამოქმედო გეგმა, როგორც მოსახლეობის დაბერებასთან დაკავშირებული პირველი საერთაშორისო სტრატეგიული დოკუმენტი ითვალისწინებს ხანდაზმულთა მხარდამჭერი გარემოს ხელშეწყობას და განვითარებას, რომლის ერთ-ერთი ამოცანა არის სერვისებზე ხელმისაწვდომობის გასაადვილებლად ხანდაზმულებისათვის შესაბამისი პროგრამების შექმნა.¹⁰

მოგეხსენებათ, საქართველოს ეროვნული ბანკის ერთ-ერთი ამოცანაა ფინანსური სექტორის მომხმარებელთა უფლებების დაცვა.¹¹ ასევე, ეროვნულ ბანკს მინიჭებული აქვს სრული უფლებამოსილება, ზედამხედველობა გაუწიოს კომერციული ბანკების საქმიანობას „საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ“ საქართველოს კანონისა და სხვა სამართლებრივი აქტების საფუძველზე.¹²

ასევე, ეროვნული ბანკი უფლებამოსილია საზედამხედველო ფუნქციების შესასრულებლად გამოსცეს შესაბამისი დადგენილებები და ბრძანებები, განახორციელოს შესაბამისი ღონისძიებები, გასცეს წერილობითი მითითებები, დააწესოს დამატებითი მოთხოვნები და შესაბამისი შეზღუდვები, გამოიყენოს საზედამხედველო ზომები ან/და სანქციები.¹³

ზემოაღნიშნული ფაქტობრივი გარემოებების მიხედვით, სახეზეა დომინანტი მხარის - ბანკის მიერ შეცვლილი სახით გაფორმებული ახალი გადახდის გრაფიკები, რითაც პენსიონერი მომხმარებლები საგრძნობლად დაზარალდნენ.

სს „ლიბერთი ბანკის“ მიერ საშეღავათო პერიოდის გამო გადავადებული სესხის განსხვავებული პირობების დადგენას ეხება საქართველოს უზენაესი სასამართლოს უახლესი გადაწყვეტილება¹⁴, სადაც შეფასებულია, „ლიბერთი ბანკის“ მიერ „მომხმარებლებზე ზრუნვის მიზნით“, სესხზე გააქტიურებული „სამთვინიანი საშეღავათო პერიოდის“ ფარგლებში მოპასუხისათვის შეთავაზებული ახალი პირობების შესაბამისობა კეთილსინდისიერებისა და კონტრაქტის ინტერესებისადმი გულისხმიერად მოპყრობის პრინციპებთან. სასამართლომ დომინირებული კონტრაქტის - ბანკის მიერ დაცული სახელშეკრულებო თავისუფლების ფარგლებში კეთილსინდისიერებისა და სამართლიანობის პრინციპები დაცულად არ მიიჩნია. სასამართლომ განმარტა, რომ მომხმარებლისათვის „ზრუნვის მიზნით“, შეთავაზებული „საშეღავათო პერიოდის“, საშუალოდ გონიერი ადამიანის სტანდარტიდან გამომდინარე, ლოგიკურია, რომ მომხმარებელს შეუქმნა პოზიტიური მოლოდინი საშეღავათო პერიოდთან დაკავშირებით. სასამართლომ ბანკის მიერ შეცვლილი სტანდარტული პირობები მიიჩნია

¹⁰ მადრიდის საერთაშორისო სამოქმედო გეგმა და მისი განხორციელების რეგიონალური სტრატეგია (MIPAA/RIS)

¹¹ საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ საქართველოს კანონის 47-ე მუხლი.

¹² იქვე, 48-ე მუხლის პირველი პუნქტი

¹³ იქვე, 48-ე მუხლის მე-3 პუნქტი

¹⁴ საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება საქმეზე №[ას-1029-2023](#), 13 ოქტომბერი, 2023წ.

ხელშეკრულების სტანდარტული პირობების უჩვეულო დებულებად¹⁵. კერძოდ, განმარტა, რომ უჩვეულოდ ჩაითვლება სტანდარტული პირობების ის დებულებები, რომლებიც ხელშეკრულების მეორე მხარეს, მისთვის მოულოდნელად დამატებით ვალდებულებებს აკისრებს ან შეთანხმებულ შესრულებას არსებითად ცვლის და ხელშეკრულების მხარეს მათი გათვალისწინება არ შეეძლო. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მიმაჩნია, რომ ხანდაზმულ პენსიონერთა საკუთრების უფლების რეალიზების მიზნით, საქართველოს ეროვნულმა ბანკმა, სახედაამხედველო უფლებამოსილების ფარგლებში უნდა მიიღოს პენსიონერთა მხარდაჭერის სათანადო და ეფექტიანი ზომები, რათა შემსუბუქდეს პანდემიის გამო სასესხო და საკრედიტო ურთიერთობებზე უარყოფითი გავლენა, მოწესრიგდეს ოვერდრაფტის სესხის საპროცენტო ვალდებულებები და გაუმჯობესდეს ამ მიმართულებით ბენეფიციარების მძიმე სოციალური მდგომარეობა.

ამდენად, პენსიონერთა ვალდებულებების რესტრუქტურის მიზნით, „საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 21-ე მუხლის „ბ“ ქვეპუნქტის საფუძველზე, მოგმართავთ წინადადებით, შეიმუშავოთ საშეღვათო პერიოდით მოსარგებლე დაზარალებულ მომხმარებელთა დაცვის მიზნით შესაბამისი დადგენილება ან მითითება რომლითაც სს „ლიბერთი ბანკი“ მოახდენს ბენეფიციარ პენსიონერების ფულადი ვალდებულების რეფინანსირება/რესტრუქტურის მიზნით შესაძლებელი იქნება პენსიონერების მიერ გადავადებამდე არსებულ პირობებზე და გადახდის ძველ გრაფიკზე დაბრუნება. ასევე, პენსიონერთა მიერ ოვერდრაფტის ხელშეკრულებების 2023 წლიდან მოქმედი ახალი დაბალი პროცენტით ავტომატურად გადაანგარიშების მიზნით მიღებულ იქნეს ყველა ზომა, რათა მაქსიმალურად იყოს აცილებული თავიდან ხანდაზმულთა საკუთრების უფლებების დარღვევის ფაქტები.

მოცემულ საკითხთან დაკავშირებით, თქვენ მიერ გატარებული თუ დაგეგმილი ღონისძიებების თაობაზე, გთხოვთ, სახალხო დამცველის აპარატს აცნობოთ „საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 24-ე მუხლით დადგენილ ვადაში.

პატივისცემით,
ლევან იოსელიანი

სახალხო დამცველი



¹⁵ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 344-ე მუხლი: ხელშეკრულების სტანდარტული პირობების ის დებულებანი, რომლებიც ფორმის მიხედვით იმდენად უჩვეულოა, რომ მეორე მხარეს არ შეეძლო მათი გათვალისწინება, არ იქცევიან ხელშეკრულების შემადგენელ ნაწილად.

